ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3045108

ნომერი: AR1469558

თარიღი : 10.01.2017

გაცემის თარიღი : 13.01.2017

გაცნობის თარიღი : 17.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 23 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიული ხაზალია პ/ნ 62006003487
- ვაჟა-ფშაველას III კვარტალი კორპ. 13 ბ.25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 01 სექტემბრის №2811692 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

2017 წლის 10 იანვრის №AR1469558 განაცხადით მომართა გიული ხაზალიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 01 სექტემბრის №2811692 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 01 სექტემბრის №2811692 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გზატკეცილი წყნეთი, №23, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.14.07.002.006) მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია აღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობის ნაცვლად 950.4 კვ.მ-ისა 946,4 კვ.მ-ის დაფიქსირება, საცხოვრებელი ფართობის ნაცვლად 3839 კვ.მ-ისა 3869,9 კვ.მ-ის დაფიქსირება, ასევე, განსახილველი განაცხადით წარმოდგენილია +20.10 ნიშნულის შესწორებული გეგმა.
სამსახურმა სათანადო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მაჩვენებლები და +20.10 ნიშნულის შესწორებული გეგმა შეესაბამება 2016 წლის 01 სექტემბრის №2811692 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და განმცხადებლის მოთხოვნა, აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების გასწორების თაობაზე, უნდა დაკმაყოფილდეს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 01 სექტემბრის №2811692 ბრძანებაში, კერძოდ, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:946,4; საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:3869,9 და შეთანხმებული, +20.10 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს 2017 წლის 10 იანვრის №AR1469558 განაცხადით წარმოდგენილი, ამავე ნიშნულის შესწორებული გეგმით. სამსახურის 2016 წლის 01 სექტემბრის №2811692 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2016 წლის 01 სექტემბრის №2811692 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.